## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბრძანება № 01-02/66**

06 აპრილი, 2023 წელი ქ. ბათუმი

**ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ამირან წილოსანის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 სექტემბრის №01-08/497 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების, „ბსუ-ს ფაკულტეტების ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის №06-01/82 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/04, 31.03.2023) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, რეზო მანველიძის 2023 წლის 5 აპრილის №384304 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ამირან წილოსანის** სადისერტაციო ნაშრომის **„კონკურენტული სტრატეგიები საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვებში და გლობალურ სატრანსპორტო ბაზარზე ინტეგრაციის პერსპექტივები“ საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 28 აპრილს 12 საათზე, №423 აუდიტორიაში** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. **რეზო მანველიძე** (კომისიის თავმჯდომარე) - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;

2.2. **ლეილა ცეცხლაძე** (კომისიის მდივანი) - ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი;

2.3. **ვლადიმერ ღლონტი** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;

2.4. **ნათელა წიკლაშვილი** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.5. **ასიე ცინცაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.6. **პაატა აროშიძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.7. **რამინ ცინარიძე** – ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.8. **ნატალია რობიტაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. **ირინე თავაძე** - ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.10. **გულიკო ქათამაძე** - ბიზნესის მართვის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

2.11. **ბესიკ ბაუჩაძე** - ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.12. **დარეჯან ჩხუბაძე** - სოციალურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.13. **ირმა დიხამინჯია** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასისტენტ-პროფესორი ლ. ცეცხლაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

**რექტორი, პროფესორი** მ. ხალვაში **მერაბ ხალვაში**